

შპს „თელავგაზი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია

და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
6. თვითღირებულება	11
7. კომერციული ხარჯი	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
9. ფინანსური ხარჯი	11
10. ძირითადი საშუალებები	12
11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
13. ფულადი სახსრები	13
14. გრძელვადიანი ვალდებულებები	13
15. საგადასახადო ვალდებულებები	13
16. მოკლევადიანი სესხები	13
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
18. საწარმოთა გაერთიანება	14
19. პირობითი ვალდებულებები	14
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	14
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	18
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	18
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	19
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	19
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თელავგაზის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თელავგაზის“ სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის აუდიტი (შემდგომში ფინანსური ინფორმაცია ან ფინანსური ანგარიშგება), რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სპეციალური დანიშნულების წინასწარ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შენიშვნა 2-ში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, რომელიც აღწერს თუ როგორ იქნა გამოყენებული მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტი, ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ დაშვებებს სტანდარტის იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ძალაში იქნება, როდესაც კომპანია მოამზადებს მსს ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაში, 2018 წელს კომპანიამ შეისყიდა ბიზნესი, რა დროსაც შესყიდული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების დადგენისთვის დაეყრდნო შეფასების ანგარიშს, რომელიც მომზადებული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის გიორგი ლეჟავას მიერ. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება სრულყოფილად მიგვეღო ინფორმაცია შეფასებაში გამოყენებული დაშვებების შესახებ. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა რეალური ღირებულებით შეფასებულ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში. აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 8,787 ათას ლარს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი პირობითი მოსაზრებისათვის საკმარისი და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი გარემოება - სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და შეზღუდვა გამოყენებაზე

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ფინანსური ანგარიშგების მეორე შენიშვნაზე რომელიც განმარტავს თუ რატომ არის შესაძლებელი, რომ შეიცვალოს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში წარდგენილი მონაცემები მაშინ როდესაც კომპანია მოამზადებს მსს ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას და გამოიყენებს ამ მონაცემებს როგორც შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება და ჩვენი მოსაზრება განკუთვნილია კომპანიის ხელმძღვანელობის ინფორმირებისა და გამოყენებისთვის რომ დაეხმაროს კომპანიას მის ფასს-ზე გადასვლის პროცესში. შესაბამისად ეს ანგარიშგება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით ან გადაეცეს სხვა მხარეს თუ ეს მოთხოვნილი არ არის კანონმდებლობით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 16-21 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მეორე შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან

ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ინფორმაციას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს “ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების“ სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

7 დეკემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

ერთობლივად, გაგვინას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ინფორმაციას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვაზღვრებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენ დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და ასევე იმას, უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს "ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსების" სახელით (რეგ. #SARAS-A-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ. #SARAS-A-629166)

7 დეკემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



შპს „თელავგაზი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	11,576
თვითღირებულება	6	(9,533)
საერთო მოგება		2,043
სხვა საოპერაციო შემოსულობები/(ხარჯები)		(54)
კომერციული ხარჯი	7	(308)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,093)
საოპერაციო მოგება		588
ფინანსური ხარჯი	9	(960)
საკუროსო მოგება		19
ზარალი დაბეგვრამდე		(353)
მოგების გადასახადი		-
წმინდა ზარალი		(353)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 7 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ჯანჯღავა
დირექტორი

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „თელავგაზი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	10	10,646	8,731
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,646	8,731
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	402	33
საგადასახადო აქტივი		-	22
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,450	18
ფულადი სახსრები	13	46	-
სულ მიმდინარე აქტივები		2,898	73
სულ აქტივები		13,544	8,804
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
დაგროვილი ზარალი		(599)	(246)
სულ კაპიტალი		(599)	(246)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	14	505	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		505	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	83	-
მოკლევადიანი სესხები	17	9,060	-
სავაჭრო ვალდებულებები	18	4,495	9,050
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,638	9,050
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,544	8,804

შპს „თელავგაზი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2019	-	(246)	(246)
წლის სრული ზარალი	-	(353)	(353)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	(599)	(599)

შპს „თელავგაზი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019
საოპერაციო საქმიანობა	
ზარალი დაბეგვრამდე	(353)
შესწორებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	239
ფინანსური ხარჯი	960
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	14
საკუროს სხვაობების ეფექტი	(19)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	841
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	
სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდა	(369)
დებიტორულ დავალიანების და სხვა მიმდინარე მოთხოვნების ზრდა	(2,446)
საგადასახადო აქტივის შემცირება	105
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:	
კრედიტორული დავალიანების შემცირება	(4,027)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(5,896)
გადახდილი პროცენტი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(5,896)
საინვესტიციო აქტივობები	
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(2,154)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,154)
ფინანსური აქტივობები	
დაფარული სესხი	(800)
მიღებული სესხი	8,900
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	8,100
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	50
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულადად სახსრებზე	(4)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	46

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „თელავგაზი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2018 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 431437082.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის რეალიზაცია საბოლოო მომხმარებლებზე. საბოლოო მომხმარებლები არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, ვარდოშვილის ქუჩა #15. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს იურიდიულ მისამართზე, ხოლო საქმიანობის ადგილი არის თელავის მუნიციპალიტეტი და მასში შემავალი სოფლების ტერიტორია.

კომპანიის მეწილეები: სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდეგში მსს ფასს) კომპანიის მიერ მიღების ნაწილი, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. კომპანიის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადდა იმ მიზნით, რომ კომპანიამ შეძლოს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ანგარიშგების მომზადება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს შესადარის მონაცემებს გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების სრულ ნაკრებს.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს მის პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, სანამ კომპანია მოამზადებს მის პირველ სტანდარტის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას, შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციაში წარდგენილი მონაცემების შესწორება, სანამ საბოლოო შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენა მოხდება კომპანიის პირველ სრულ კომპლექტში მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მესამე შენიშვნაში მოცემულია სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოყენებულია სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის, წარმოდგენილია მეოთხე შენიშვნაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის პირველი გამოყენება. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა მოემზადებინა რაიმე სახის ფინანსური ანგარიშგება და წარსულში რაიმე ფინანსური ანგარიშგება არ მოუზადებია. ამრიგად, სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი თუ რა გავლენა იქონია წინა სტრუქტურული საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

მსს ფასს-ზე გადასვლამდე, კომპანია ინახავდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკის გამოყენებით, რომლებიც გარკვეულწილად საგადასახადო კანონმდებლობას ეფუძნებოდა. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

კომპანიამ არ გამოიყენა რაიმე სახის ზოგადი გამონაკლისები მსს ფასს სტანდარტის 35.11 ნაწილის შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		2.8677	3.2095
კურსი 2019 წლის 1 იანვრისთვის		2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები.**

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მილსადენები	35-50
შენობა-ნაგებობები	7-25
მანქანა-დანადგარები	10-25
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
სხვა	5-10

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ბიზნესის კომბინაცია. კომპანია ასახავს ბიზნესკომბინაციას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის მასზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები.

კომპანია ბიზნეს კომბინაციისას გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც კომპანია გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

ამონაგები შემოსავლის ტიპების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019
სოციალური გაზის რეალიზაცია	6,248
კომერციული გაზის რეალიზაცია	4,723
შემოსავალი გაზიფიკაციიდან	568
სხვა შემოსავალი	37
სულ	11,576

შპს „თელავგაზი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. თვითღირებულება

თვითღირებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019
სოციალური გაზის თვითღირებულება	(3,970)
კომერციული გაზის თვითღირებულება	(3,792)
ბუნებრივი აირის დანაკარგი	(975)
გაზიფიკაციის ხარჯები	(395)
ბუნებრივი აირის გატარების ხარჯები	(276)
ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საფასური	(125)
სულ	(9,533)

7. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(197)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(26)
საწვავის ხარჯი	(23)
ბუნებრივი აირის რეგულირების საფასური	(22)
რემონტის ხარჯები	(18)
სხვა ხარჯები	(22)
სულ	(308)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019
შრომის ანაზღაურება	(645)
საკონსულტაციო ხარჯები	(187)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(142)
ცვეთა და ამორტიზაცია	(42)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(34)
საექვო და უიმედო ვალების რეზერვის ხარჯი	(14)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(12)
სამეურნეო ხარჯები	(5)
სხვა საერთო ხარჯები	(12)
სულ	(1,093)

9. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს, კომპანიის მიერ მშობელი საწარმოსგან მიღებული არაუზრუნველყოფილი, მოკლევადიანი სესხის პროცენტის ხარჯს (საპროცენტო განაკვეთი 12%), რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ვალდებულების დაფარვა.

შპს „თელავგაზი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მილსადენები	მრიცხველები	ავტომობილები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2019	427	-	914	7,281	-	43	66	8,731
შემოსვლა	-	2,112	-	-	-	31	43	2,186
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	(32)	(32)
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადატანა	-	(2,089)	-	1,709	380	-	-	-
31 დეკემბერი 2019	427	23	914	8,990	380	74	77	10,885

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2019	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	(37)	(161)	(19)	(9)	(13)	(239)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	(37)	(161)	(19)	(9)	(13)	(239)

საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2019	427	-	914	7,281	-	43	66	8,731
31 დეკემბერი 2019	427	23	877	8,829	361	65	64	10,646

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი ძირითადად წარმოადგენს იმ მასალების ღირებულებას, რომელსაც კომპანია იყენებს გაზიფიცირების სამუშაოების შესასრულებლად. კომპანიის ბალანსზე მყოფ მარაგებს იყენებს როგორც საკუთარი ძალებით წარმოებულ სამუშაოებში, ასევე იყენებენ კონტრაქტორი კომპანიები, რომლებიც ჩართულნი არიან გაზიფიცირების პროცესში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,450	18
გაცემული ავანსები	14	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,464	18
უიმედო და საექვო ვალების რეზერვი	(14)	-
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,450	18

13. ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი წარმოადგენს რეზიდენტ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ეროვნულ ვალუტაში ნომინირებულ თანხებს. კომპანიას არ გააჩნია დეპოზიტები კომერციულ ბანკებში.

14. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიამ 2019 წლის 16 ოქტომბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან შეიძინა თელავის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის გაზგამანაწილებელი ქსელი, საიდანაც წარმოეშვა ვალდებულება 2,056 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული დავალიანების დაფარვის ვადა წარმოადგენს 18 წელს. აღნიშნული ვალდებულების საწყისი აღიარება მოხდა გარიგების ფასის მიმდინარე ღირებულებით.

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

16. მოკლევადიანი სესხები

2019 წლის 21 იანვარს კომპანიას მშობელი საწარმოსგან მიღებული აქვს არაუზრუნველყოფილი 12%-იანი განაკვეთის მოკლევადიანი სესხი 8,900 ლარის ოდენობით, რომლის მიზნობრიობასაც წარმოადგენს აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ვალდებულების დაფარვა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სესხის გადასახდელი ნაშთი შეადგენს 9,060 ლარს (ძირი - 8,100 და პროცენტი - 960) ლარს, ხელშეკრულების დასრულების თარიღია 2020 წლის 21 იანვარი.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	2,822	111
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი სხვა სავაჭრო ვალდებულებები	1,531	8,934
მიღებული ავანსები	115	-
გადასახდელი ხელფასები	27	5
სულ	4,495	9,050

18. საწარმოთა გაერთიანება

2018 წლის 28 დეკემბერს საქართველოში, კერძოდ თელავის რაიონში ოპერირების მიზნით შპს „თელავგაზმა“ შეიძინა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელი და დამხმარე ინვენტარი. აღნიშნული ოპერაციის თავდაპირველი აღიარება მოხდა როგორც საწარმოთა გაერთიანება მსს ფასს-ის შესაბამისად.

აგრეგირებული იდენტიფიცირებადი აქტივების რეალური ღირებულება შესყიდვის თარიღისთვის:

აქტივები:	
ძირითადი საშუალებები	8,787
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	20
გადახდილი კომპენსაცია	(8,807)
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	-

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ნაშთები დაკავშირებულ მხარეების მიმართ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ**

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	197	-
შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2,056	111
შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4	-
შპს სოკარ ჯორჯია გაზი	მშობელი საწარმო	544	-
შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	21	-

შემენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	2019
სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	197
შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5,971
შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	40
შპს სოკარ ჯორჯია გაზი	მშობელი საწარმო	563
შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	21

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	33

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე პანდემიის პერიოდში კომპანიას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება. კომპანიის ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი აღნიშნულ ფაქტს ქონდეს არსებითი გავლენა შედეგებსა და ნაშთებზე.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ შეიცვალა დედა კომპანიისგან მიღებული სესხის პირობები, რის მიხედვითაც დაფარვის ვადა გახანგრძლივდა 2025 წლის 21 იანვრამდე.

შპს „თელავგაზი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „თელავგაზი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თელავგაზი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 3 ოქტომბერს. კომპანიის დირექტორია ზურაბ ჯანჯღავა, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება 1 წევრისგან.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბუნებრივი აირის რეალიზაციას საბოლოო მომხმარებლებზე. კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ საქართველოში, თელავის რაიონში მცხოვრები ფიზიკური და იურიდიული პირები.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019
სოციალური გაზის რეალიზაცია	6,248
კომერციული გაზის რეალიზაცია	4,723
შემოსავალი გაზიფიკაციიდან	568
სხვა შემოსავალი	37
სულ	11,576

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან შპს „გაზთრეიდინგი“ და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“.

ბუნებრივი აირის რეალიზაცია ხორციელდება ქალაქ თელავსა და მის შემადგენლობაში შემავალ სოფლებში. ბუნებრივი აირის საბოლოო მომხმარებლებამდე მიწოდება კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენების საშუალებით ხდება.

ცენტრალური ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - საქართველო, ქ. თელავი ვარდოშვილის ქუჩა #15.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ზურაბ ჯანჯღავა. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

შპს „თელავგაზი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 11,576 ლარი. კომპანია დაარსებულია 2018 წლის მეოთხე კვარტალში და საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2018 წლის 28 დეკემბრიდან.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2019
სულ შემოსავალი	11,576
სულ აქტივები	13,544
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	61
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	0.21
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.18
მარაგების ბრუნვა (დღე)	8.34
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	172.1
დებიტორების ბრუნვა (დღე)	77.24

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „თელავგაზის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენდა 61 თანამშრომელს. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამკირავებელი, შპს „თელავგაზი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებელი პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიას ჰყავს ბუნებრივი აირის ორი მომწოდებელი: შპს „გაზ თრეიდინგი“ და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“. კომპანიას გაზიფიცირების მომსახურებას უწევს შპს „ინტერსერვის 2011“. კომპანიას ძირითადი კლიენტები არ ჰყავს და ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის დამოკიდებული არცერთ მომხმარებელზე.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე დამატებით ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია განსაზღვრავს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და განაწილების ღირებულებას. კომპანიას საგადასახადო შემოწმება არ გაუვლია.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი მილსადენების გაყვანა, გაზიფიცირება და შემოსავლების ზრდა. კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს სრულად მოახდინოს თელავის მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს ბუნებრივი აირის მიწოდების სფეროში, სხვადასხვა გამოცემებისა და გამოფენების მეშვეობით. შესაბამისად ხდება ტექნოლოგიური სიახლეების პერმანენტული დანერგვა საქმიანობაში, რათა გაუმჯობესებულ იქნას უსაფრთხოების სტანდარტი და მომსახურების ხარისხი.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეს მიმართულება ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას და ავტომატიზაციას. კომპანიის განვითარების ამ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება იგეგმება სამი ძირითადი მიმართულებით: კომერციული საქმიანობის ოპტიმიზაცია, ტექნიკური ოპერაციები და კონტროლის მექანიზმები.

ციფრული ტექნოლოგიები

ბილინგვის სისტემა

ბილინგვის სისტემა წარმოადგენს კომპანიის მთავარ ციფრულ ინოვაციას, რომელიც დაინერგა კონკრეტულად დედა კომპანიისთვის შპს „სოკარ ჯორჯია გაზისთვის“ და აქტიურად იყენებს შპს „თელავგაზი“. სისტემაში სრულად არის ასახული კომპანიის საოპერაციო საქმიანობის მოთხოვნები, როგორებიცაა:

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა (გაგრძელება)

- უნიფიცირებული აბონენტები
- ფინანსური კონტროლის მექანიზმები
- რეპორტიინგი
- ტარიფების მოქნილი სქემა
- სმს-ს გაგზავნა აბონენტებთან, საჭიროების შემთხვევაში ქვითრის ადგილზე ბეჭდება.

CRM სისტემა

სისტემა რომელიც მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობის ყველა საშუალებას, როგორებიცაა: ცხელი ხაზი, მომხმარებლების მომსახურების ცენტრები, ვებ პორტალი. ამ სისტემის მიზანია აბონენტების კმაყოფილების ამაღლება აბონენტებთან ურთიერთობის ანალიზის მეშვეობით.

სადისპერო ცენტრი

სადისპერო ცენტრი წარმოადგენს ბუნებრივი გაზის უწყვეტი და უსაფრთხო მიწოდების მაკონტროლებელ ცენტრს, ის აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა სისტემებიდან, ახდენს მათ კონსოლიდაციას და ჯგუფს სთავაზობს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას პრობლემის აღმოსაფხვრელად. მაგალითად, კორექტორებიდან, რომლებიც დაყენებულია საუბნო მრიცხველებზე, იღებს ინფორმაციას წნევის და დატვირთვის შესახებ, ხოლო CRM სისტემიდან - ავარიების შესახებ და ამის მეშვეობით გეგმავს ავარიის აღმოფხვრის საფეხურებს. სადისპერო ცენტრის მთავარი ფუნქციებია:

- ოპერატიული, მოქნილი და ეფექტური რეაგირება პრობლემებზე, როგორიცაა ავარიები, ქსელში წნევის დაცემა და ა.შ.
- ჯგუფების მუშაობის კოორდინირება
- ადამიანური შეცდომის შემცირება გადაწყვეტილების მიღების დროს

ჩვენების აღების ტექნოლოგია

კომპანიაში დაინერგულია მობილური ტერმინალები შტრიხ კოდის წამკითხველი აპარატით. ყველა მრიცხველზე დამონტაჟდა შტრიხ კოდი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით. ტერმინალის საშუალებით წამკითხველი კითხულობს მრიცხველზე დატანილ შტრიხ-კოდს. აბონენტს მომენტალურად ეგზავნება სატელეფონო შეტყობინება (SMS) დავალიანების დარიცხვასთან დაკავშირებით. ამ ტექნოლოგიის დანერგვამ შეამცირა წამკითხველის მიერ ერთ აბონენტზე დახარჯული დრო და გადახდის ლოდინის ვადა.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
მოკლევადიანი სესხები	9,060	-	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,495	9,050	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,450	18	შენიშვნა 2
ძირითადი საშუალებები ნეტო	10,646	8,731	შენიშვნა 3

შენიშვნა #1: კომპანიამ 2019 წელს აიღო სესხი მშობელი საწარმოსგან, რის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასგან 2018 წელს შესყიდული აქტივების ვალდებულების დაფარვა. სავაჭრო და სხვა ვალდებულების შემცირება გამოწვეულია აღნიშნული ვალდებულების დაფარვით.

შენიშვნა #2: კომპანიამ ძირითადი საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2019 წლიდან, შესაბამისად გაეზარდა მოთხოვნების ნაშთი.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

შენიშვნა #3: წლის განმავლობაში კომპანიამ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან შეიძინა თელავის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის გაზგამანაწილებელი ქსელი. გარდა ამისა შპს „თელავგაზი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირებას და ქსელების მშენებლობას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,763.5	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.1%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,267.7	1,265.2
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება.

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე პირდაპირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობაზე და არ დაიდენტიფიცირებულა მნიშვნელოვანი ბიზნეს რისკები რაც მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ეფექტურ მართვას.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე.

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არ ხდება კლიენტების გადახდისუნარიანობის შეფასება და ამის

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

შესაბამისად საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა, რადგან გაზის მიწოდება ძირითადად ხდება საბოლოო მომხმარებლებზე და შეუძლებელია მომხმარებლების შეცვლა ან სხვა გასაღების ბაზარზე კონცენტრირება. კომპანია ცდილობს საკრედიტო რისკები მართოს სხვადასხვა არაპირდაპირი ბერკეტების გამოყენებით მათ შორის როგორცაა საურავების დარიცხვა, სემეკის ჩართულობა პროცესში, პირდაპირი მოლაპარაკებები და ა.შ.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია შესყიდვის მომენტში, ვინაიდან ბუნებრივი შესყიდვა ხდება აშშ დოლარით, ხოლო რეალიზაცია ლარში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.


კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 7 დეკემბერს:



ზურაბ ჯანჯღავა
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

შესაბამისად საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა, რადგან გაზის მიწოდება ძირითადად ხდება საბოლოო მომხმარებლებზე და შეუძლებელია მომხმარებლების შეცვლა ან სხვა გასაღების ბაზარზე კონცენტრირება. კომპანია ცდილობს საკრედიტო რისკები მართოს სხვადასხვა არაპირდაპირი ბერკეტების გამოყენებით მათ შორის როგორცაა საურავების დარიცხვა, სემეკის ჩართულობა პროცესში, პირდაპირი მოლაპარაკებები და ა.შ.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია შესყიდვის მომენტში, ვინაიდან ბუნებრივი შესყიდვა ხდება აშშ დოლარით, ხოლო რეალიზაცია ლარში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 7 დეკემბერს:

ზურაბ ჯანჯღავა
დირექტორი